პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 58 (7619)

22 მარტი, ხუთშაბათი, 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

ვერისუბნელი მუშაკები (მე-2 გვ.)

საფეხბურთო მინდვრების ხულიგნები (მე-3 გვ.)

გრაციის ზეიმი (მე-3 გვ.)

ინტერვიუს იძლევა მსოფლიო ჩემპიონი (მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტება ოჯახში იბადება

ადამიანის ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გარემოსაც, საზოგადოებასაც, მეგობარ-ახლობელთა წრესაც, სამსახურსაც, მაგრამ მაინც — ვერც ერთი ვერ მოვა ამ მხრივ ოჯახთან. ოჯახი აკვანია ადამიანისა, მისი პირველი სიმღერაა, პირველი სიტყვაა, პირველი სულიერი საგზალია ცხოვრების გზაზე. პირველად ოჯახში ვღებულობთ წარუვალი მნიშვნელობის მორალურ-ეთიკურ გაკვეთილებს; აქ ვსწავლობთ თავდაპირველად, რა არის კარგი და რა — ცუდი, რას უნდა ველტვოდეთ და რაზე ვამბობდეთ უარს, რა მოგვწონდეს და რას უარვყოფდეთ... ოჯახში ერთი მასწავლებელი არ არის; აქ ყველა მასწავლებელია და ყველა — მოწაფე, ასაკის მიუხედავად. თანაც, საზოგადოების თვალში ოჯახურ კონკრეტულ პორტრეტს ერთდროულად მისი ყველა წევრი ქმნის და ამიტომ ძალზე საეჭვოდ გვესახება ანდაზა: თითო მახინჯი ყველა ოჯახს ჰყავსო. ტოლსტოი ამბობდა, ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავსო. ბედნიერება აბსტრაქტული ცნებაა და ერთდროულად ურიცხვ ფაქტორს გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა კი ალბათ იმას, რომ ოჯახს სულიერად მახინჯი შვილი არ გამოუვიდეს.

საზოგადოდ, როგორც ყველა სასიკეთო და სასარგებლო ტრადიცია, სპორტის სიყვარულიც ოჯახში იღებს სათავეს და აქვე იდგამს ფესვს. ოჯახია ის პირველი ქურა, რომელშიც უნდა გამოიწრთოს მომავალი სპორტსმენი თუ არა, სპორტის მიმდევარი და გულწრფელი თაყვანისმცემელი მაინც. და რადგან სპორტი, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის მიწურულს, ადამიანის საერთო კულტურის განუყოფელ კომპონენტად იქცა, სპორტისადმი მიდრეკილებაც სწორედ მაღალი კულტურის, შეგნებულ ოჯახებში შეიძლება ჩაისახოს. სპორტი ამა თუ იმ ოჯახის სავიზიტო ბარათიცაა. ასეთ ოჯახებში ძნელად, რომ მოზარდის ავბედითმა მიდრეკილებებმა გაიჭაჭანოს. სპორტი ყმაწვილს იცავს იმისგან, რისიც განსაკუთრებით უნდა ეშინოდეს მშობელს — ცუდი წრისგან, ეგრეთ წოდებული „ქუჩის" მავნე გავლენისგან.

და ვინაიდან ამქვეყნად ისე სწრაფად არავინ ითვისებს კარგსაც და ცუდსაც, როგორც მოზარდი, განსაკუთრებით საჭიროა ოჯახში იგი მხოლოდ სანიმუშო მაგალითს ხედავდეს, თუნდაც სპორტის მოყვარული ან დამფასებელი მშობლების, უფროსი და-ძმების სახით.

ვინ უნდა ჩასჭიდოს ხელი ბიჭსა და გოგოს, ვინ უნდა მიიყვანოს ისინი რომელიმე სპორტულ სექციაში? ნუ ვიქნებით ზედმეტად მომთხოვნი ისედაც მეტისმეტად დატვირთული ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტების მიმართ, ნუ დაველოდებით, ვიდრე ისინი მიაქცევდნენ ყურადღებას ჩვენს ბავშვს. სპორტულ სექციაში ბავშვი თავად მშობელმა უნდა მიიყვანოს. მასზე უკეთ არავინ იცის, საით, რომელი სახეობისაკენ მიუწევს გული მის შვილს. გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა ვხელმძღვანელობდეთ არა საკუთარი ეგოისტური მოსაზრებით, არამედ ბავშვის სურვილით. ისე კი, სპორტის ნებისმიერი სახეობა კარგია, ცუდი სახეობა არ არსებობს. ამიტომ ნუ ავყვებით ფეხის ხმას და ნუ მოვახვევთ ბავშვებს თავს ეგრეთ წოდებულ „მოდურ" სახეობებს, რომლებისკენაც მათ გული არ მიუწევთ...

არავითარ ეჭვს არ იწვევს და საკამათო არ არის, რომ ოჯახმა უნდა განსაზღვროს თავდაპირველად თავისი ბავშვის სპორტული ბედიც.

ბევრი რამ უნდა გადაწყვიტოს ამ საპასუხისმგებლო ნაბიჯმა, რომელზეც მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული მოზარდის ჯანმრთელობაც, ჰარმონიული განვითარებაც და მასთან ერთად — ჩვენი სპორტის ხვალინდელი დღეც.

სტუმრების ტაქტიკამ გაამართლა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 21 მარტი.

„სპარტაკი" (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „ანდერლეხტი" (ბრიუსელი, ბელგია) 1:0 (0:0).

„სპარტაკი": დასაევი, სოჩნოვი, პოზდნიაკოვი, ბაზულევი, ბუბნოვი, კუზნეცოვი (სიდოროვი), გლადილინი, მოროზოვი, გავრილოვი, შავლო, როდიონოვი.

„ანდერლეხტი": მუნარონი, პერუზოვიჩი, ფრიმანი, ჩერნიატინსკი, დე გროოტი, დე გრეეფი, ვანდერეიკენი, ჰოფკენსი, ვანდენბერგი, შიფო, გრინი.

მსაჯი ა. დაინა (შვეიცარია).

ი**ხეთი** რანგის გუნდი, როგორიც ბრიუსელის „ანდერლეხტია", იშვიათად ჩამოდის თბილისში. მართალია, ჩვენს სტადიონზე სხვადასხვა დროს გვინახავს ბასკონიის, ბრაზილიის, ურუგვაის, ინგლისის, შოტლანდიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, იტალიის, დასავლეთ გერმანიის, უნგრეთის საუკეთესო გუნდები, თბილისში ჩამოსულან ბელგიელებიც („ლა განტუაზი", „სტანდარდი"), მაგრამ დღევანდელი „ანდერლეხტი", მაინც სულ სხვაა. ამ გუნდს ბოლო წლებში დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული. იგი დაეპატრონა ევროპის თასების თასს, სუპერთასს, უეფა-ს თასს, ამდენად ეს გუნდი ახლა მოწინავე საერთაშორისო ფეხბურთის სტანდარტის დონეზე თამაშობს.

გულშემატკივრისთვისაც და, განსაკუთრებით, ფეხბურთის სპეციალისტებისთვისაც მუდამ საინტერესოა უშუალოდ მინდორზე იხილონ ასეთი მაღალი კლასის გუნდი და ისიც ისეთ უაღრესად საპასუხისმგებლო საერთაშორისო მატჩში, როგორიცაა უეფა-ს თასის მეოთხედფინალი.

„სპარტაკი" — „ანდერლეხტი"! ეს მეტად საინტერესო თამაში იყო და ჩვენც დიდი გულისყურით ვადევნებდით თვალს მინდორზე ამ წარმტაც ბრძოლას. არ გავიმეორებთ იმას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ გუშინდელი მეტოქეები, სპარტაკელებს აუცილებლად ესაჭიროებოდათ გამარჯვება, ეს კი იოლი საქმე არ გახლდათ.

„ანდერლეხტის" შემადგენლობაში არიან უმაღლესი კლასის ფეხბურთელები მუნარონი, ჩერნიატინსკი, დე გროოტი, დე გრეეფი, ვანდენბერგი და სხვები, მაგრამ უპირველესი აღნიშვნის ღირსად, უდავოდ, მიგვაჩნია შიფო (№ 10). ხშირ შემთხვევაში, როცა საამისო შესაძლებლობა იყო, სტუმრები შეგნებულად არ გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე. მათ შესანიშნავად ორგანიზებული ზონური დაცვა ჰქონდათ, ამ ზუსტად დაგეგმილ, წინასწარ შემუშავებულ სქემას „ანდერლეხტის" ფეხბურთელები ზუსტად და შეუვალად იცავდნენ. მათ სულ რამდენიმეჯერ მიეცათ კონტრიერიშის შესაძლებლობა, მაგრამ ისინი არ ჩქარობდნენ და არ არღვევდნენ წინასწარ დასახულ გეგმას.

სპარტაკელები განსაკუთრებით აქტიურობდნენ პირველი 15-20 წუთის მანძილზე. შავლო, როდიონოვი, გლადილინი ბევრს მოძრაობდნენ, საგრძნობი იყო ტერიტორიული უპირატესობაც, მაგრამ სახიფათო მომენტი ბელგიელთა კართან თითქმის არ შექმნილა, ვინაიდან მოსკოველთა იერიშები გადამწყვეტ მომენტებში ჩიხში ემწყვდეოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ „სპარტაკს" საერთო უპირატესობა ჰქონდა, თამაში კი ფაქტიურად „ანდერლეხტის" გეგმით მიმდინარეობდა. აქ განსაკუთრებით უნდა ითქვას ის, რომ სპარტაკელთა თამაშის ეფექტურობას დიდად დაეტყო მისი წამყვანი ფეხბურთელის ჩერენკოვის არყოფნა.

შესვენების შემდეგ, სპარტაკელთა ერთ-ერთი იერიშის დროს, „ანდერლეხტის" მცველმა თავის საჯარიმო მოედანზე აკრძალული ილეთით წააქცია სოჩნოვი და არბიტრმა პენალტი დანიშნა, გავრილოვის დარტყმა კი სწრაფი, ზუსტი ნახტომით მოიგერია მეკარე მუნარონმა.

სპარტაკელებმა ერთხელ, 89-ე წუთზე, მაინც მიაღწიეს მიზანს და გაიტანეს კიდეც ბურთი (ეს გააკეთა როდიონოვმა). „სპარტაკმა" გაიმარჯვა, მაგრამ ნახევარფინალის საგზური 2 მატჩის ჯამში „ანდერლეხტს" ხვდა წილად.

ძნელი სათქმელია როგორ წარიმართებოდა თამაში გავრილოვს რომ 11-მეტრიანი გაეტანა, მაგრამ ფაქტი ფაქტია: ამ გამოუყენებელმა პენალტმა მოსკოვის „სპარტაკს" დააკარგვინა მისთვის სანუკვარი ნახევარფინალი.

ნესტორ ჩხატარაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ელვა-ინტერვიუ

მატჩის შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი დავით კაკაბაძე შეხვდა ბრიუსელის „ანდერლეხტის" უფროს მწვრთნელს პოლ ვან ჰიმსტს, რომელმაც ასე შეაფასა განვლილი შეხვედრა:

— ჩვენთვის ეს იყო უაღრესად მძიმე მატჩი, სადაც საბოლოო წარმატების მისაღწევად კოლექტივის ყველა წევრს ძალთა სრული მობილიზება დასჭირდა. განსაკუთრებით გაგვიჭირდა პირველ ტაიმში, როცა ჩემმა ბიჭებმა ვერაფრით ვერ ააწყვეს თამაში. ასე რომ, როგორც მწვრთნელს, შეხვედრის დროს ბევრი საფიქრალი მქონდა. „სპარტაკი" უაღრესად მობილურად გამოიყურებოდა. თითქმის ორი წელია, „ანდერლეხტს" ვხელმძღვანელობ და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მოსკოველთა გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ევროპის საკლუბო ტურნირებში მინახავს — უშუალოდ მინდორზე თუ ტელევიზიით. ერთ რამეშიც უნდა გამოგიტყდეთ: არ ვიცი, როგორ დამთავრდებოდა ჩვენი შეხვედრა, გავრილოვს რომ უკეთ დაერტყა პენალტი. ბევრად მეტი პრობლემა გვექნებოდა გადასაჭრელი, ჩერენკოვს რომ ეთამაშა.

✦ **კონკრეტულად რომელ ფეხბურთელებს გამოყოფდით?**

— მოსკოველთაგან ძალიან მომეწონა როდიონოვი. მან თავისი სისწრაფითა და მანევრული მოქმედებით არაერთხელ ჩააყენა მძიმე მდგომარეობაში ჩვენი მცველები. „ანდერლეხტიდან" აღნიშვნის ღირსია შიფო. ჩემი აზრით, ამ ფეხბურთელს დიდი მომავალი აქვს — მას ხომ მხოლოდ იანვარში შეუსრულდა 18 წელი და სულ მალე ალბათ იტალიის ეროვნულ ნაკრებში ვიხილავთ. რაც შეეხება დასაევს, დარწმუნებული ვარ, რომ იგი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მეკარეა. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, „ანდერლეხტის" თავდამსხმელებმა იგი ამჯერად თითქმის უსაქმოდ დატოვეს.

✦ **თუ „სპარტაკისთვის" უეფა-ს თასის წლევანდელი გათამაშება დამთავრდა, თქვენთვის ეს შეჯიბრება გრძელდება. რას უსურვებდით „ანდერლეხტს" უახლოესი მომავლისთვის?**

— უპირველეს ყოვლისა, მასაც და ჩემს თავსაც ვუსურვებდი, რომ ნახევარფინალში ვენის „აუსტრია" შეგვხვედროდეს (თუ, რა თქმა უნდა, მიაღწია ამ ეტაპს). მაშინ ფინალში გასვლა, მე მგონი, განაღდებული გვექნება, იქ კი ყველაფერს ვიღონებთ უეფა-ს თასის მესანარჩუნებლად. უწინაც ვამბობდი და ახლაც მინდა ავღნიშნო: „სპარტაკი" მეოთხედფინალისტებიდან ყველაზე ძლიერ გუნდად მიმაჩნია და მისი ასპარეზობიდან გამოთიშვა თასისაკენ გზას ბევრად გაგვიადვილებს.

●

სხვა მატჩები

ჩემპიონთა თასი

„დინამო" (ბუქარესტი) — „დინამო" (მინსკი) 1:0

თასების თასი

„შახტიორი" (დონეცკი) — „პორტუ" (პორტუ) 1:1

ევროპის ქვეყნების საკლუბო ტურნირების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩები

აწმყო, შობილი წარსულისაგან...

იური ოსიპოვი

ომში ფარიკაობას მაშინ მოეკიდა, როცა თბილისში და, საერთოდ, საქართველოში განსაკუთრებული ლტოლვა იგრძნობოდა სპორტისადმი. მცირერიცხოვანი სტადიონები, დარბაზები, აუზები ყმაწვილი და ახალგაზრდა სპორტსმენებით იყო სავსე; აღარას ვამბობ ბაღებსა და მინდვრებზე, რომლებიც ომის შემდეგ კიდევ დიდხანს ითვლებოდა ახალგაზრდობის თავისებურ სპორტულ სამჭედლოდ. როგორც ორგანიზებული, ისე „ქუჩის" სპორტი იძლეოდა ბევრ ნიჭიერ, პერსპექტიულ ათლეტს, რომლებიც შემდეგ რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ მცირე თუ დიდ შეჯიბრებებში. სპორტს იმ დროში რამდენიმე ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ალბათ მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობის გაღვივება სპორტსმენთა შორის. განსაკუთრებით ფასობდა ერთიმეორის დახმარების, თანადგომის, გაჭირვებაში ხელის გამართვის უნარი.

სწორედ ამ წიაღიდან იშვა მოფარიკავე იური ოსიპოვი. სპორტულ უბანში, ვერაზე გაზრდილ ჭაბუკს არ გასჭირვებია თავისი ადგილის მონახვა ფარიკაობის სამყაროში. ამას ორი გარემოება უწყობდა ხელს: ჯერ ერთი, ვერაზე იმხანად ფარიკაობის ნამდვილი კულტი იყო დამკვიდრებული და ოსიპოვს ბევრი სამაგალითო წინამორბედი ჰყავდა (მაგალითად, ქართველ მოფარიკავეთაგან საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი რევაზ ცირეკიძე); მეორეც — იური არაჩვეულებრივი მონაცემებით გახლდათ დაჯილდოებული (ფიზიკურად ძლიერ, ზედმიწევნით სწრაფ სპორტსმენს „რეაქტიული" მოფარიკავის სახელი ჰქონდა, თავიდანვე გამოირჩეოდა გამარჯვების გაუნელებელი ჟინით, გამჭრიახობით, შრომისმოყვარეობითა და მტკიცე ნებისყოფით). ამ ორმა ფაქტორმა იგი უმალ დააწინაურა თანატოლთა შორის.

თუმცა მარტო ორ გარემოებას არ გადაუწყვეტია მისი მომავალი. თბილისში ცხოვრობდა ერთი ფრიად პატივსაცემი კაცი, ძველი ყაიდის ინტელიგენტი, ფარიკაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თაოსანი საქართველოში ანატოლი ფიოდოროვი. მთელი თავისი სიცოცხლე (80 წელზე მეტი იცოცხლა) იგი ზრუნავდა ქართული ფარიკაობისათვის და სპორტის ამ სახეობას ბევრი ჩინებული ოსტატი გამოუზარდა. იური ოსიპოვი, საბედნიეროდ, ამ ფიქრიანი და ნიჭიერი მწვრთნელის ჯგუფში მოხვდა (ფიოდოროვი სხვა ღირსებებთან ერთად ხელექციის დიდი უნარითაც გამოირჩეოდა).

იური ოსიპოვს ცხოვრებაშიც და სპორტშიც უჩვეულო ხვედრი ერგო. მისი ოჯახი თბილისში ევაკუაციით ჩამოვიდა სტალინგრადიდან. ომი მძვინვარებდა. თბილისმა ლტოლვილი რუსული ოჯახი თავისიანად შეიცნო და, როგორც ჩვენს მრავალეროვან დედაქალაქს შეშვენის, მასაც მიუჩინა ბინა.

იური ქართველ თანატოლთა შორის იზრდებოდა. მალე ისწავლა ქართული. თავიდანვე გულით შეიყვარა ის ხალხი, ის ადამიანები, რომლებიც მას და მისი ოჯახის წევრებს შინაურებად, თავისიანებად მიიჩნევდნენ. ასე შეიყვარა ყმაწვილმა ჩვენი სიმღერა, ჩვენებური ცეკვა, ჩვენი ეროვნული კულტურა. ქართულ ფარიკაობაში ორგანულად ჩაიწერა იური ოსიპოვის სახელი. მაშინაც და მას შემდეგაც იური მთელი თავისი არსებით, მთელი შთაგონებით ემსახურებოდა და ემსახურება არა მარტო ეროვნულ ფარიკაობას, არამედ ყველა სასიკეთო ქართულ საქმეს. ასეთი დამოკიდებულება მონათესავე ერისადმი ყველა ინტერნაციონალურ ტრანსპარანტსა და ლოზუნგს სჯობია...

სიყვარული სიყვარულის წილო, ნათქვამია. იური ოსიპოვი გამორჩეულად გვიყვარდა ქართველ მოფარიკავეებს. შესაძლოა იმიტომ, რომ იგი ნამდვილ თბილისელად მოგვიანებით იქცა, შეიძლება იმიტომაც, რომ არავის არ ჰქონდა ისეთი „საწყალი", კეთილი გული. იგი ნიადაგ მზად იყო დახმარებოდა მეგობარს სიტყვით თუ საქმით. ერთი სიტყვით, იური ოსიპოვი სჭირდებოდა ქართულ ფარიკაობას და, ჩვენდა სასიხარულოდ, ჰყავდა კიდეც.

ოსიპოვს სიყვარულით „ქართველ რუსს" ვეძახდით და, ახლაც, უკვე მოწიფულნი, ისევ ამ სახელით მივმართავთ მეგობრები.

ბევრი სითბო გვახსოვს ამ კაცისაგან.

...ვარშავაში ვართ. საქართველოს ნაკრებმა დაამთავრა ამხანაგური სამატჩო შეხვედრები პოლონელებთან. დამშვიდობებისას მასპინძლებმა ბანკეტი მოგვიწყვეს. გაჩაღდა ლხინი, მხიარულება. პოლონელებმა მოინდომეს ქართული ცეკვა ენახათ. ყველა იური ოსიპოვს მივაჩერდით (ვიცოდით, ფარიკაობამდე ქართულ ცეკვებზე დადიოდა). იურისაც ბევრი აღარ უფიქრია და გადაეშვა წრეში. აკომპანიატორობა იკისრა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, წარსულში ცნობილმა ტანმოვარჯიშემ გულო რცხილაძემ, რომელსაც პროფესიული მუსიკალური განათლება ჰქონდა. იურის მაგალითით გაქეზებულმა შოთა სულამანიძემაც დაუარა ქართული.

პოლონელები გაკვირვებით შეჰყურებდნენ თავიანთ ყოფილ მეტოქეებს, რომლებსაც მარტო ცეკვით არ განუცვიფრებიათ ისინი: ჩვენმა გუნდმა მსოფლიო ფარიკაობის ერთ-ერთ ლიდერებთან და კანონმდებლებთან პაექრობაში საპატიო ფრეს მიაღწია. ეს იყო აღორძინების გზაზე მდგარი ქართული ფარიკაობის კიდევ ერთი აღიარება და ამ წარმატებაში იური ოსიპოვმა დიდი წვლილი შეიტანა. საერთოდ, იური ქართული ფარიკაობის ოქროს ხანის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენლად ითვლება, თავისებურ კლასიკოსად, ჩვენი ეროვნული ფარიკაობის ყველა დროის აღიარებულ ოსტატად.

როცა იური ოსიპოვის სპორტულ ბიოგრაფიაზე ვფიქრობ, იგი მესახება მეტად რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე საფარიკაო ოდისეად. მართლაც რკინისებური ნებისყოფა და უშრეტი ოპტიმიზმი უნდა ჰქონოდა სპორტსმენს, რომ ბედის უთვალავი დარტყმისთვის გაეძლო და, მაინც ღირსეულად ეთქვა თავისი სიტყვა როგორც საბჭოურ, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

იურიმ სხვებზე იოლად და ადრე გაიკვლია გზა ფარიკაობის ელიტაში. 1954 წელს მან, ჩვიდმეტი წლის ყმაწვილმა, პირველი გამარჯვება იზეიმა ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატში, ხოლო 1955 წელს ისევ გაიმეორა ეს თვალსაჩინო მიღწევა. ამ გამარჯვებებმა მას მყარი რეპუტაცია შეუქმნა მოფარიკავეთა შორის. ეს იყო ოსიპოვის შეუნელებელი წინსვლის პერიოდი. იგი ერთიმეორეზე იპყრობს ფარიკაობის სიმაღლეებს: 1956 წელი, საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადა — საპრიზო ადგილი რაპირისტთა ტურნირში. ამ წარმატების შემდეგ ცხრამეტი წლის ოსიპოვი საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანეს. იმ დროისთვის ეს თავისებური სენსაცია იყო. მაშინდელი სპორტი საკმაოდ „ასაკოვანი" გახლდათ და ჭაბუკებს ასე იოლად არ იღებდნენ ნაკრებში, მით უმეტეს, ფარიკაობაში.

აი, ბედნიერი ოლიმპიელი ხომალდ „გრუზიათი" საბჭოთა დელეგაციასთან ერთად მიემგზავრება შორეული ავსტრალიის ქალაქ მელბურნში.

იურის კარგი თვალით უყურებს რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ივან მანაენკო, რომლის სიტყვასაც საფარიკაო სამყაროში დიდ ანგარიშს უწევენ. ჭაბუკი სპორტსმენისათვის მეტად სასიამოვნოა ასეთი სპეციალისტისა და ავტორიტეტული კაცის ყურადღება და კეთილგანწყობა. ივან მანაენკოსა და იური ოსიპოვს შორის ხშირად იმართება დაახლოებით ასეთი შინაარსის საუბარი: შესანიშნავი მონაცემებით დაჯილდოებული ახალგაზრდა მოფარიკავე აუცილებლად უნდა გადავიდეს საცხოვრებლად მოსკოვში, სადაც მას, მომავალ მსოფლიო ჩემპიონს, ბევრად უკეთესი პირობები ექნება, ვიდრე თბილისში. იური თავაზიანად უღიმის უფროს მწვრთნელს, მაგრამ კატეგორიულ უარზეა. არ გასჭრა მანაენკოს დაჟინებამ და მჭევრმეტყველებამ — იური მელბურნამდეც, მელბურნშიც და მელბურნის მერეც (დღემდე) იყო და დარჩა თავისი საყვარელი ქალაქის მკვიდრი, ქართული სპორტის ერთგული.

ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ დახვდება გზაზე იურის მანაენკოსთვის ნათქვამი უარი. ბევრი უმძაფრესი შერკინების შემდეგ, როცა მისი მონაწილეობა მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებში თითქოს არავითარ ეჭვს არ იწვევს, იგი მაინც შინ რჩება. ასე მოხდა, მაგალითად, ფილადელფიის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, როცა იური თავის უშუალო კონკურენტებზე წინ იყო ქულათა კოეფიციენტით და მაინც ნაკრების მიღმა დარჩა; ასე იყო 1960 წელსაც, რომის ოლიმპიადის კვირაძალზე, როცა იური ოსიპოვი აშკარად უსწრებდა ქულებით მეტოქეებს, მაგრამ მოსკოვის წინასაოლიმპიადო შეკრებიდან რომის ნაცვლად თბილისს გამოემგზავრა.

იმ წელიწადს იური ოსიპოვმა მაინც დაამტკიცა, რომ ოლიმპიადაზე წასვლის ღირსი იყო. რომის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, სეზონის მიწურულს, თბილისში გამართულმა საკავშირო თასის გათამაშების ტურნირმა თავი მოუყარა ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერეს რაპირისტს, მათ შორის ოლიმპიადის მონაწილეებსაც. იურიმ ყველა მეტოქე დაამარცხა. ფორტუნა არც რომის ოლიმპიადამდე უღიმოდა ჩვენს ნიჭიერ მოფარიკავეს. განსაკუთრებით დასწყვიტა გული იურისაც და მის მეგობრებსაც 1957 წელს ვოროშილოვგრადის საკავშირო ჩემპიონატზე მომხდარმა უჩვეულო ამბავმა. იური საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. მას მხურვალედ ულოცავდნენ გამარჯვებას. მოულოდნელად მსაჯთა კოლეგიამ თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალა და ოსიპოვ-მიდლერის შეხვედრის ხელახლა ჩატარება მოითხოვა. ვერავინ მიხვდა, რით იყო ნაკარნახევი ეს უსამართლო ნაბიჯი. აღელვებული იური, მანამდე უკვე ჩემპიონად გამოცხადებული, კვლავ გამოვიდა ბილიკზე და ამჯერად მარცხი იწვნია ფსიქოლოგიური უპირატესობის მქონე მეტოქისაგან...

1962 წელი. კიევი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, რაპირისტთა ტურნირი. ალმავლობის გზაზე მდგარ იური ოსიპოვს თითქოს ამჯერად მაინც არ უნდა გაუცრუვდეს იმედი: ყველა მაჩვენებლის მიხედვით იგი კონკურენტებს უსწრებს. დარჩა ერთადერთი, გადამწყვეტი შეხვედრა მეგობარ მოფარიკავესთან, ლვოველ ევგენი რიუმინთან, რომელსაც ოსიპოვი სისტემატურად უგებს. ასევე დიდი უპირატესობით წარმართა თბილისელმა სპორტსმენმა ფინალური ორთაბრძოლაც — 4:2. დარჩა მხოლოდ ერთი ჩხვლეტა და, იური ოსიპოვი ჩემპიონია. ეს ერთი ჩხვლეტა აღარ ყოფილა... რიუმინმა ალბათ პირველად და უკანასკნელად მოუგო ოსიპოვს დრამატულ ორთაბრძოლაში — 5:4.

ქართველ მოფარიკავეთაგან ბევრს როდი აქვს ისეთი ნამსახურობის ნუსხა, როგორიც იური ოსიპოვს. თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე ელავდა მისი რაპირა და გამარჯვებებს იმკიდა საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებში (სტატისტიკის მოყვარულთათვის: იური ოსიპოვი საკავშირო პირველობათა ოთხგზის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორია, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი პრიზიორი საბჭოთა სპორტსმენთაგან, მრავალ დიდ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული). მაგრამ მარტო ასეთი მიღწევები ვერ გამოაჩენს კაცს, ვერ მოუხვეჭს სახელს ისეთ მკაცრ და მომთხოვნ დარგში, როგორიც ფარიკაობა და, საერთოდ, სპორტია. ასეთ დაფასებას სპორტი მხოლოდ ნამდვილ პიროვნებასა და კაცურ კაცს მიაგებს.

ადამიანის პორტრეტს ოჯახიც ძერწავს. იური ოსიპოვი კარგი ოჯახის მამაა და და შვილებსაც — გუგასა და კოკას თავის სათნო მეუღლესთან, რუსუდან ჭავჭანიძესთან ერთად, ისე ზრდის, როგორც ეს დღეს სჭირდება საქართველოს: მამულიშვილებად, საზოგადო საქმის გულშემატკივრებად, უბრალოდ, წესიერ ადამიანებად.

მოდი ამის შემდეგ თქვი, რომ იური ოსიპოვი, რომელმაც ჯერ სკოლა დაამთავრა წარჩინებით, მერე — ორი საინჟინრო ფაკულტეტი, რომელსაც დღეს ჩინებული სპეციალისტის სახელი აქვს და მრავალზე მრავალი მეგობარი ჰყავს, უღლო კაცია.

უიღბლოდ მას სპორტში ვიცნობდით, განა ცხოვრებაში.

არჩილ გოგელია.

სამი ლიდერი

საქართველოს ჩემპიონატი რეგბიში

თოვლიან ზამთარს ხელი არ შეუშლია რეგბისტებისთვის — ისინი თეთრად გადაპენტილ მინდვრებზეც ახერხებდნენ საქართველოს ჩემპიონატის მატჩების გამართვას, რომელთა უმეტესობა საინტერესოდ, დაძაბულად მიმდინარეობდა. გათამაშების I წრის შედეგები „ლელომ" 1 თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა. ახლა შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტურია დარჩენილი. გაგაცნობთ მეორე წრეში გამართულ შეხვედრათა შედეგებს: სპი (თბილისი) — „კოლხეთი" (ქუთაისი) 8:11, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) 0:4, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი (თბილისი) — „სახლმშენი" (ქუთაისი) 0:12, სპი — სამედიცინო ინსტიტუტი (თბილისი) 0:0, სამედიცინო ინსტიტუტი — „ლოკომოტივი" (თბილისი) 3:25, სპი — „შევარდენი" 3:12, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი — „კოლხეთი" 0:18, „სახლმშენი" — ზოოტექნიკურ- სავეტერინარო ინსტიტუტი 32:0, „ლოკომოტივი" — „შევარდენი" 15:6, სპი — „სახლმშენი" 6:25, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი — „კოლხეთი" 3:15, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი — სამედიცინო ინსტიტუტი 7:13.

„ლოკომოტივი" ახლა საწვრთნელ შეკრებას გადის ლესელიძეში, რის გამოც რამდენიმე კალენდარული მატჩი გამოტოვა. სხვებზე ნაკლები შეხვედრა ჩაატარა „შევარდენმაც", რომელიც ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრა პრაღის უნივერსიტეტის გუნდთან ამხანაგური მატჩების გასამართავად.

საქართველოს ჩემპიონის ვინაობა აპრილში გაირკვევა — ასპარეზობის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა. გათამაშებას ლიდერობენ „სახლმშენი", „ლოკომოტივი" და „შევარდენი", რომლებიც მალე საკავშირო პირველობაშიც ჩაებმებიან: „სახლმშენი" და „ლოკომოტივი" უმაღლესი ლიგის ტურნირში იასპარეზებენ (ეს შეჯიბრება აპრილში დაიწყება), „შევარდენი" კი ივნისში პირველი ლიგის კოლექტივებთან დაიწყებს შეხვედრებს.

ამ უაღრესად საპასუხისმგებლო სტარტების წინ საქართველოს ჩემპიონატის მატჩები უდავოდ კარგ სამსახურს გაუწევს ჩვენს საუკეთესო გუნდებს. რესპუბლიკის პირველობის ხანგრძლივი ტურნირი შესანიშნავი სკოლაა ახალგაზრდა რეგბისტებისათვისაც, რომლებიც უწინ მოკლებული იყვნენ სერიოზულ ოფიციალურ შეხვედრებსა და შეჯიბრებებს.

გაბრიელ ბარჯაძე.

დებიუტანტი

დავით გასიტაშვილი

მძლეოსნობა (სიმაღლეზე ხტომა)

დაიბადა 1966 წელს გორში

მწვრთნელები პეტრე კრასნოვი და ამირან ზარქუა

სიმაღლე 184 სმ

წონა 70 კგ

საუკეთესო შედეგი 208 სმ

გლდანის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის XI კლასის მოსწავლე

საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის

ახლახან გაიმარჯვა სპორტული სკოლა-ინტერნატების საკავშირო პირველობაზე.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ემზადება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ლახტის წრეში

ულმობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ წესრიგის დამრღვევთ

საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომაზე

დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში და, სამწუხაროდ, დაიწყო... წესრიგის დარღვევებიც. 17-18 მარტს გაიმართა პირველი მატჩები, პირველად მოვიდნენ ჩვენს სტადიონზე ფეხბურთის მოყვარულნი და მათ ამ სასტარტო დღესვე აღმაშფოთებელი უმსგავსოებანი იხილეს მინდორზე.

გასაკვირია: ამდენს ვლაპარაკობთ საფეხბურთო დისციპლინაზე, დღენიადაგ ვლაპარაკობთ მოთამაშეების, მწვრთნელებისა და მსაჯების გასაგონად, რომ წესრიგი დავამყაროთ რესპუბლიკურ გათამაშებებში, ძალებს არ ვიშურებთ საიმისოდ, რომ მოვაგვაროთ ეს ჩვენი რთული საფეხბურთო მეურნეობა და უკვე პირველივე დღეს, სასტვენის პირველსავე ხმაზე თავაშვებულნი არავის და არაფერს ეპუებიან — არც მაყურებლებს, არც თანაგუნდელებს, არც სპორტულ მეტოქეებს, უდიერად არღვევენ დისციპლინას.

გარდა იმისა, რომ წესრიგის დაცვის შესახებ გააფრთხილეს რესპუბლიკურ შეჯიბრებათა ყველა მონაწილე, თითოეული ფეხბურთელი, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ გადაწყვიტა რესპუბლიკური ჩემპიონატის ყოველ მატჩზე მიავლინოს საგანგებო ინსპექტორები, ფეხბურთის სპეციალისტები, საზოგადოებრივი აქტივისტები, რომლებიც ყურადღებით მიადევნებენ თვალს, რათა თამაშები ჩატარდეს ნორმალურად, მაღალ სპორტულ დონეზე, წესრიგი არავინ დაარღვიოს, და, აი, უმსგავსობანი მაინც მოხდა. საქართველოს ჩემპიონატმა 17 მარტს აიღო სტარტი და რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურ კომისიას უკვე 21 მარტს მოუხდა რიგგარეშე სხდომის ჩატარება, რათა განეხილა დისციპლინის დარღვევის საკითხები და საგანგებო ზომებისთვის მიემართა. დრო არ ითმენს — თუ ახლავე, სწორედ ამ ცხელ კვალზე არ მივმართეთ უმკაცრეს ზომებს, მერე თავგასულებსა და ხულიგნებს ვეღარ დავაოკებთ.

სპორტტექნიკური კომისიის გუშინდელ სხდომას ესწრებოდნენ ფეხბურთის სამმართველოსა და ფედერაციის მუშაკები, სპეციალისტები, განიხილეს ვანისა და წულუკიძის სტადიონებზე მომხდარი დარღვევები.

რა მოხდა ვანში? ადგილობრივი „სულორი" მაიაკოვსკის „საირმეს" ხვდებოდა. მატჩის ინსპექტორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ანთაძემ კომისიის წევრებს მოახსენა შემდეგი: დაძაბული ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა, ანგარიში იყო 0:0, ტყიბულელი არბიტრის ი. ლორთქიფანიძის მსაჯობაზე პრეტენზია არც ერთ მხარეს არ ჰქონდა. 88-ე წუთზე მაიაკოვსკელთა გუნდის საჯარიმო მოედანზე მეკარისა და მასპინძელთა ერთ-ერთი მოთამაშის შეტაკებისას მეკარემ დაარღვია წესი. მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი.

მაიაკოვსკელი ფეხბურთელები განაწყენდნენ და უდიერად მიეჭრნენ მსაჯს. ისინი მოითხოვდნენ პენალტის გაუქმებას, უშვერი სიტყვებით ილანძღებოდნენ, მუჯლუგუნებსა და წიხლებსაც აღარ ერიდებოდნენ. ყველაფერი ეს სახალხოდ, ყველას თვალწინ ხდებოდა. როგორც იქნა, ფეხბურთელები დაშოშმინდნენ. ვანელმა მოთამაშემ გაიტანა პენალტი, და აქ სტუმრები კვლავ თავს დაესხნენ არბიტრს. მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ვ. არქანიამ, ზ. კვირიკაძემ და დ. ხიზანიშვილმა.

იყო პენალტი თუ არა, ამაზე არა გვაქვს ლაპარაკი. განა შეიძლება მეზობელ რაიონში სტუმრად, ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოსულმა კაცმა ამდენი მაყურებლის თვალწინ ფეხი დაარტყას არბიტრს? აქ ელემენტარული თავდაჭერაა საჭირო. პროვოკაციას აჰყვნენ მაყურებლები, გადაცვივდნენ მინდორზე და საფეხბურთო მატჩიც ნამდვილ უხამსობაში გადაიზარდა.

ვის უნდა დაეცვა არბიტრი ი. ლორთქიფანიძე ამ სიტუაციაში? რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, „სულორის" ფეხბურთელებს. ისინი მასპინძლები იყვნენ და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 11-მეტრიანი ხომ მათ სასარგებლოდ დაინიშნა? ამის ნაცვლად ვანელი ფეხბურთელები არხეინად გაემართნენ გასახდელისაკენ და მსაჯი საჯიჯგნად შეატოვეს მაიაკოვსკელ ფეხბურთელებს.

საინტერესოა ესეც აღინიშნოს: მაიაკოვსკელებმა კარგად იცოდნენ, რომ მატჩს ოფიციალურ ინსპექტორად ესწრებოდა ჩვენი გამოჩენილი, დამსახურებული ფეხბურთელი გიორგი ანთაძე, მაგრამ...

სპორტტექნიკურმა კომისიამ თავისი გადაწყვეტილება ზუსტად შეუფარდა დებულების პუნქტებს: **ვ. არქანიას და ზ. კვირიკაძეს დისკვალიფიკაცია მისცა თითო წლით, ხოლო დ. ხიზანიშვილს 7 მატჩით აუკრძალა საქართველოს პირველობაზე გამოსვლა.** ამას გარდა, იგი გადააყენეს გუნდის კაპიტნობიდან. გააფრთხილეს მაიაკოვსკელი მწვრთნელი ა. ხელაძე, ამასთან მხედველობაში მიიღეს ის, რომ იგი დიდი ხანი არაა, რაც ამ გუნდის მწვრთნელად მუშაობს. ხელაძეს მიუთითეს, რომ გააძლიეროს გუნდში აღმზრდელობითი მუშაობა.

სხდომაზე განიხილეს წულუკიძის „იმერეთისა" და გაგრის „დინამოს" შეხვედრის საკითხიც. აქაც უნდა საგანგებოდ გავუსვათ ხაზი, რომ მატჩს ინსპექტორებად ესწრებოდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი გ. ბაქანიძე და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი რ. ჩილაჩავა. წულუკიძელმა ფეხბურთელებმა ეს კარგად იცოდნენ და, მიუხედავად ამისა, დაუფარავად, დემონსტრაციულად უხამსობდნენ. გაგრელებმა მათ თამაშით აჯობეს, ამიტომ „იმერეთის" ფეხბურთელებმა, სხვა რომ ვერაფერი შეძლეს, ლანძღვით აიკლეს იქაურობა. ვ. ბერძენიშვილი და დ. დანგაძე მსაჯს დაუფარავად უშლიდნენ ხელს თამაშის ნორმალურად ჩატარებაში. ვ. ბერძენიშვილი მას წამდაუწუმ მაისურში ავლებდა ხელს და ცდილობდა თავის ნება-სურვილზე დაემორჩილებინა.

სპორტტექნიკურმა კომისიამ აქაც მკაცრ სანქციას მიმართა: **ვ. ბერძენიშვილს მიეცა დისკვალიფიკაცია 5 მატჩით და პირობითი დისკვალიფიკაცია ერთი წლით. მსგავსი ამბის გამეორების შემთხვევაში პირობითი დისკვალიფიკაცია რეალურ ფორმებს მიიღებს. 3 მატჩით აუკრძალეს თამაში დ. დანგაძეს, ხოლო გუნდის მწვრთნელს ჯ. კუპუხიძეს მიუთითეს, რათა საჭირო წესრიგი დაამყაროს თავის კოლექტივში.**

სპორტულ-ტექნიკური კომისიის გუშინდელი საგანგებო სხდომაც, წესრიგის დამრღვევთა მიმართ გამოტანილი მკაცრი სასჯელიც და ეს წერილიც მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: ჩვენს ფეხბურთში უნდა დამყარდეს წესრიგი. უდისციპლინობის თუნდაც უმნიშვნელო შემთხვევაც არ დარჩება უყურადღებოდ, დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან. ეს კარგად უნდა შეიგნოს საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე თითოეულმა ფეხბურთელმა, მწვრთნელმა და მსაჯმა.

თბილისის სპორტის სასახლეში ოთხ დღეს გაგრძელდა ქალაქის ღია ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებების, საქართველოს განათლების სამინისტროს მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის, აგრეთვე თბილისისა და ტაშკენტის ნაკრები გუნდები.

გუნდური 1 ადგილი დაიკავა ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სკოლის კოლექტივმა (257,0 ქულა), მეორე იყო ასკ-ის სპორტული კლუბი (258,6), მესამე — „ბურევესტნიკის" ნაკრები (250,1).



უმცროსი ასაკის (1971-72 წლებში დაბადებულნი) ტანმოვარჯიშეთა შორის გაიმარჯვა ინგა ჩხაიძემ. II ადგილი დაიკავა თინათინ ნადირაშვილმა (ორივე ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელია; მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნელი სალაძე). III ადგილზეა ელისო ბედოშვილი (რესპუბლიკური სპორტული სკოლა. მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ლუბოვ ხერგოვანცევა).

უფროსი ასაკის (1966-70 წლები) სპორტსმენთა შეჯიბრებაში I-II ადგილები გაიყვეს ნინო ხუციშვილმა („დინამო", მწვრთნელი ნ. სალაძე) და ევგენია შირინკინამ (რესპუბლიკური სპორტული სკოლა, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი მარინა ვიშნიაკოვა). III ადგილზეა ფიქრია ფანჩველაშვილი („დინამო". მწვრთნელი ნ. სალაძე).

სურათებზე: ინგა ჩხაიძე, ევგენია შირინკინა და ნინო ხუციშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

თბილისელთა უპირატესობით

ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტები და მწვრთნელები ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესით ადევნებენ თვალს მოზარდთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებს. ეს ასპარეზობები გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს ნორჩ სპორტსმენთა დაოსტატებას, წარმოაჩენს იმ პერსპექტიულ ახალგაზრდებსაც, რომლებიც შემდგომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში საპასუხისმგებლო საკავშირო შეჯიბრებებში ცდიან ძალებს: ახეთ შეჯიბრებათა რიცხვს, პირველ ყოვლისა, განეკუთვნება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა და ჭაბუკთა საკავშირო თამაშები. სპარტაკიადა წლეულს სექტემბერში გაიმართება, ჭაბუკთა თამაშები კი მომავალ წელს ჩატარდება. მანამდე ჩვენი ქვეყნის ქალაქებში მოეწყობა საკავშირო პირველობები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. მაგალითად, სულ მალე ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკი „კლასიკოსები" ფრუნზეში გამართულ საკავშირო პირველობაში მიიღებენ მონაწილეობას.

— სწორედ ამ შეჯიბრებისთვის საქართველოს ნაკრების კანდიდატთა შერჩევას ისახავდა მიზნად ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა, რომელიც ამ დღეებში თბილისში გაიმართა, — გვითხრა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკური ნაკრების რეზერვის უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა დავით დავითაიამ. — სარბიელზე სულ 180 მოჭიდავე გამოვიდა, რაც თავისთავად სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მონაწილეთა უმრავლესობამ კარგი ტექნიკური მომზადება, საბრძოლო სულისკვეთება გამოავლინა. ახლა თითქმის ყველა წონით კატეგორიაში გვყავს რამდენიმე ძლიერი სპორტსმენი, გაიზარდა კონკურენცია, საინტერესო გახდა საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს საიმედო ცვლა მოდის პერიფერიებიდან. ბავშვებთან ნაყოფიერად მუშაობენ ჯემალ კოსტავა (ქუთაისი), გელა ნიკურაძე და მურად გვენცაძე (სამტრედია), კარლო ჯოჯუა, ალეკო მურღულია და ტატაჩი გოგოლი (ცხაკაია), თენგიზ ლომაძე (მახარაძე), დურსუნ ბოლქვაძე (ხულო), გოდერძი ჯობაძე (გარდაბანი), დიმიტრი ლოლაძე (ორჯონიკიძე) და სხვები. ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოჭიდავეთაგან სტაბილურად გამოდიან ონიანი, ჩაკვეტაძე, მაკალათია, ოჩიგავა, თედორაძე, ხუნაშვილი, გვიანიძე, გულიაშვილი... მაგრამ სხვაა საკავშირო ტურნირები, აქ მოწმდება სპორტსმენის ნამდვილი შესაძლებლობები, ვლინდება ხასიათი.

... რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ფავორიტად, ცხადია, თბილისის გუნდი ითვლება. თბილისელმა მოჭიდავეებმა ამჯერადაც დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს, ქუთაისის ნაკრები მეორე იყო, აჭარისა — მესამე. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ცხაკაიელი, სამტრედიელი და რუსთაველი მოჭიდავეები.

ტექნიკური შედეგები:

45 კგ. ზ. ჩაკვეტაძე (ქუთაისი). ა. ჩიჩუა, გ. ჯულაფიძე (ორივე — სამტრედია).

48. ე. ჯანჯღავა (თბილისი), ა. ჩიკვაიძე (წყალტუბო), თ. ყაზარაშვილი (საგარეჯო).

52. ა. ხუდოიანი, ლ. ტეტუნაშვილი (ორივე — თბილისი), ა. აბობაძე (სამტრედია).

56. ა. კუჭავა (თბილისი), კ. გულიაშვილი (გარდაბანი), ი. სოფიანოვი (აფხაზეთი).

60. გ. ჩაკვეტაძე (ქუთაისი), თ. ეკიზაშვილი (თბილისი), დ. იასაშვილი (რუსთავი).

65. ვ. ონიანი (ქუთაისი), ზ. კურდღელაშვილი (თბილისი), მ. მიქაძე (ქუთაისი).

70. კ. ოჩიგავა (თბილისი), ზ. ჯიბლაძე (აჭარა), გ. ხოშტარია (ქუთაისი).

75. ი. ხუნაშვილი, კ. ტაკაშვილი, ზ. სამხარაძე (სამივე — თბილისი).

81. გ. მაკალათია, ზ. ქოჩქიანი, დ. ბიგანოვი (სამივე — თბილისი).

87. თ. თედორაძე, პ. ბუხრიკიძე, ზ. ჩიკვილაძე (სამივე — თბილისი).

97. ნ. გვიანიძე, გ. შონია (ორივე — თბილისი), პ. ბერაძე (ორჯონიკიძე).

+97. ვ. გოქაძე (ქუთაისი), დ. სანოძე, კ. გრონიაკი (ორივე — თბილისი).

ფარფლებით... რეკორდებისკენ

ლენინგრადის ოლქის ქალაქ პიკალევოს საცურაო აუზ „ველეფინს" ტყუილად როდი უწოდებენ „ფეხფარფლიანთა მსოფლიო რეკორდების სამჭედლოს". ბოლო წლებში აქ წყალქვეშა სპორტის ჩქაროსნულ სახეობაში გამართულ ოთხ დიდ ტურნირში 21 მსოფლიო რეკორდი დამყარდა.

აი, ახლაც საკავშირო თასის გათამაშებაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, 20 წლის კიეველმა ო. სტრელკოვამ მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა 100, 200 და 400 მეტრზე ფარფლებით წყალქვეშ ცურვაში—შესაბამისად 38,5, 1.26,0 და 3,8,0 აჩვენა. ლენინგრადელმა სვეტლანა კირეევამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე აკვალანგით ცურვაში — 41,0.

გუნდური პირველობა და თასი კიევლებმა მოიგეს. საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხური დაიკავეს ტომსკელმა მოცურავეებმა, მესამე — მოსკოვის არმიელებმა.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩები

პარტია გადაიდო

გუშინ სოჭში უნდა გამართულიყო ი. ლევიტინა — ლ. სემიონოვას მატჩის მეშვიდე პარტია. იგი არ შედგა. ლევიტინამ აიღო „ტაიმაუტი".

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 3,5:2,5 (+2—1=3) ლევიტინას სასარგებლოდ.

ბრძოლა მძაფრდება

დღეს, 22 მარტს, ვ. სმისლოვისა და გ. კასპაროვის მატჩში რეგლამენტით მეექვსე პარტია უნდა ჩატარდეს. თეთრებით ითამაშებს სმისლოვი.

ლიდერობს კასპაროვი — 3,5:1,5 (+2=3).

გაეცანით მეხუთე პარტიას, რომელიც 20 მარტს გათამაშდა.

მეხუთე პარტია

კასპაროვი — სმისლოვი

ხლავური დაცვა

1. d4 d5 2. მf3 მf6 3. c4 c6 4. მc3 e6 5. კg5 d×c4 6. e4 b5 7. e5 h6 8. კh4 g5 9. მ×g5 h×g5 10. კ×g5 კe7 11. e×f6 კ×f6 12. კ×f6 ლ×f6 13. g3 მa6 14. კg2 კb7 15. მe4 ლe7 16. 0—0 0—0—0



17. a4 მფb8 18. ლd2 b4 19. ეac1 e5 20. ე×c4 f5 21. მg5 c5 22. კ×b7 ლ×b7 23. ლe3 e×d4 24. ლe5+ მფa8 25. მe6 ლh7 26. h4 ეhe8 27. ლe2 ეd6 28. ლf3+ ლb7 29. ლ×b7+ მფ×b7 30. მ×c5+ მ×c5 31. ე×c5 d3 32. ეd1 ეe2 33. ეb5+ მფa6 34. ე×b4 d2 35. მფf1 ეde6 36. მფg2 ეd6. ყაიმი.

ამჯერად სლავურ დაცვაში სმისლოვმა ბოტვინიკის ურთულესი სისტემა გამოიყენა. მატჩში შექმნილი მდგომარეობა თამაშის გამძაფრებისაკენ უბიძგებს მას. კასპაროვმა გამოწვევა მიიღო და რთული ბრძოლა გაჩაღდა.

სხვადასხვა მხარეზე როქის შემდეგ მოსალოდნელი იყო სმისლოვის იერიში. მაგრამ კასპაროვმა მეტოქეს დაასწრო. მისმა მე-17 და კიდევ ორმა მომდევნო სვლამ სმისლოვი თითქმის ორი საათით ჩააფიქრა და იგი მძიმე ცაიტნოტში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ექსჩემპიონი სწრაფად და ზუსტად მოქმედებდა. მაშინაც, როცა კასპაროვმა გონებამახვილი კომბინაციური მანევრით პოზიციური უპირატესობა მიიღო, სმისლოვმა ეტლების ენდშპილში ვირტუოზული ტექნიკა გამოავლინა და თამაში გაათანაბრა. მისმა ძლიერმა ცენტრალურმა გამსვლელმა პაიკმა გაანეიტრალა კასპაროვის მატერიალური უპირატესობა. ამიტომ ახალგაზრდა დიდოსტატმა დაზავება შესთავაზა სმისლოვს.

ჭადრაკი

სამი საგზურის 38 მაძიებელი

დამთავრდა უმცროსი ასაკის გოგონათა საქალაქო პირველობა, რომელშიც თბილისის 38 ნორჩი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

10,5 ქულით I ადგილი დაიკავა 117-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ მარინე გაგნიაშვილმა, 9 ქულით II ადგილზეა 91-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მირანდა თავაძე. 8,5 ქულით III ადგილზე გავიდა პირველი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მოსწავლე ნინო ქევხიშვილი.

ჯონი ჯანაშია,
თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საჭადრაკო სპორტული სკოლის დირექტორი.

ოლიმპიური ცეცხლი სპორტის იდეალებს უნდა ემსახურებოდეს

დროს ნუ კარგავთ, იჩქარეთ. სულ რაღაც 3 ათას დოლარად თქვენ გეძლევათ „ბედნიერი" შესაძლებლობა კილომეტრი გაირბინოთ ოლიმპიური ჩირაღდნით... ასე სარკასტულად წერს კოლუმბიის გაზეთი „ვოსი", რომელიც კომენტარს უკეთებს აშშ-ის მიერ ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების გამდიდრების წყაროდ ქცევის ცდას.

— უძველეს ოლიმპოზე დანთების დღიდან — აღნიშნავს გაზეთი, — ოლიმპიური ცეცხლი მუდამ მშვიდობასა და ხალხთა შორის ურთიერთგაგებას ემსახურებოდა. ასე იყო სარაევოს ზამთრის ოლიმპიადაზეც, სადაც იგი მსოფლიოს სპორტსმენთა გულებს ათბობდა, მაგრამ ლოს-ანჯელესის ზაფხულის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს იგი მოგების ერთ-ერთ საშუალებად გადააქციონ, როცა გამოაცხადეს, რომ ოლიმპიური ჩირაღდანის ტარების უფლება მიეცემა ყველას, ვინც დიდ თანხას გაიღებს.

ოლიმპიური ცეცხლი, — ხაზს უსვამს გაზეთი, — იყო და უნდა დარჩეს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის ამხანაგობისა და მეგობრობის სიმბოლოდ და არა გამდიდრების წყაროდ, იგი უნდა ემსახურებოდეს სპორტის მაღალ იდეალებს და არა კომერციას.

წარმოიდგინეთ, — ასკვნის „ვოსი", — რამდენი „ოლიმპიური ჩემპიონი" გაჩნდება, ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ოლიმპიური მედლების თავისუფალი გაყიდვა რომ დაიწყონ...

დავიცვათ ოლიმპიური ჩირაღდანი!

ოლიმპიაში (საბერძნეთი) მუშაობა დაამთავრა სპორტსმენთა საერთაშორისო კონფერენციამ, რომელმაც მიიღო მოწოდება არ დაუშვან 1984 წლის ზაფხულის თამაშების ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის კომერციად ქცევა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაგზავნილ დოკუმენტს 15 ქვეყნის (მათ შორის სსრ კავშირისა და აშშ-ის) 350 დელეგატმა მოაწერა ხელი.

კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ კონფერენციის მონაწილენი გამოდიან ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის კომერციული ინტერესებით (ყოველი ეტაპის 3000 დოლარად გაყიდვა, რაც საბოლოო ჯამში 30 მილიონ მოგებას იძლევა) ჩატარების წინააღმდეგ. მოწოდებაში ხაზგასმულია ისიც, რომ „ესტაფეტა ამერიკულად" აშკარა დარღვევა იქნება 62-ე ოლიმპიური ქარტიის წესდებისა, რომელშიც ნათქვამია: „ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტასთან დაკავშირებული ღონისძიებები არ უნდა ემსახურებოდეს მოგებას".

კონფერენცია მოწვეული იყო საბერძნეთში შექმნილი ახალი ორგანიზაციის — მშვიდობისა და კულტურის დაცვის საერთაშორისო ცენტრის თაოსნობით. ამ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ სპორტსმენები, მშვიდობისთვის მოძრაობის წარმომადგენლები, ქვეყნის ინტელიგენცია.

1972 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა საცხენოსნო სპორტში ელენა პეტუშკოვამ (სსრ კავშირი) განაცხადა: „ოლიმპიური ცეცხლის გაყიდვა საშიში პრეცენდენტია და თუ ერთხელ დავუშვებთ მსგავს სპეკულაციას, სხვა ქვეყნებსაც შეეძლებათ იგივე გაიმეორონ თამაშების ორგანიზაციის დროს".

ფორუმის ერთ-ერთმა ინიციატორმა, ოლიმპიის მერმა სპიროს ფოტინოსმა თქვა: „ჩვენ მივმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა დაიცვას ოლიმპიური ცეცხლი კომერციული ექსპლუატაციისგან". მან წაიკითხა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარის მისალმება. „გისურვებთ წარმატებას მიზნების მიღწევაში" — ნათქვამია კონფერენციის მონაწილეებისადმი გაგზავნილ დეპეშაში.

კალეიდოსკოპი

შეხვედრა გდრ-ში

ბერლინში, გდრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მანფრედ ევალდისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის შეხვედრის დროს განიხილეს სოკ-ის 89-ე სესიისთვის (გაიმართება მომავალ წელს გდრ-ის დედაქალაქში) მზადებასთან დაკავშირებული საკითხები და ოლიმპიური მოძრაობის აქტუალური პრობლემები.

საუბარში, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ აგრეთვე გდრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სხვა ხელმძღვანელები.

ხ. ა. სამარანჩმა სამი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელს ნიჩბოსან ზ. ბრიცკეს ოლიმპიური ორდენის ბრინჯაოს სამკერდე ნიშანი გადასცა და გდრ-ის სპორტის ხელმძღვანელებს მიულოცა რესპუბლიკის სპორტსმენთა ბრწყინვალე წარმატება სარაევოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე.

სწავლაც გამძლეობაზეა

ამას წინათ ქალაქ სენფტენბერგში ჩატარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 21-ე ჩემპიონატი მძლეოსნობაში (დახურული დარბაზებისათვის). სპორტულ სიარულში საუკეთესო შედეგი აჩვენა მსოფლიო ჩემპიონმა, პოტსდამელმა სპორტსმენმა რონალდ ვაიგელმა. გთავაზობთ ჟურნალისტ ვ. პერის ინტერვიუს მსოფლიო ჩემპიონთან (დაიბეჭდა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდში").

● **რონალდ, ჩემპიონატზე თქვენ გამოდიოდით 10 კმ დისტანციაზე და აჩვენეთ 39.28,8. ხართ თუ არა მიღწეულით კმაყოფილი?**

— ეს შედეგი საუკეთესო იყო სენფტენბერგში, მაგრამ ვგრძნობ, რომ შემიძლია სულ ცოტა ერთი წუთით მაინც გავაუმჯობესო იგი.

● **გსიამოვნებთ თუ არა სიარული დარბაზში?**

— დიახ, მე მომწონს დარბაზი. ჩვენს სახეობას მაყურებელი აკლია, დარბაზში კი იგრძნობა იგი, მისი მხარდაჭერა. თუმცა გარეთ, მიწაზე სიარულიც სასიამოვნოა.

● **თქვენ მსოფლიო ჩემპიონი 50 კმ დისტანციაზე გახდით, ახლა კი 10 კმ-ზე გამოხვედით. ლოს-ანჯელესში რა მანძილზე აპირებთ ასპარეზობას?**

— უწინდებურად 50 კილომეტრზე, ეს დისტანცია მეტ გამძლეობასა და სისწრაფეს მოითხოვს.

● **როგორ მიდის თქვენი განათლების საქმე?**

— ახლახან გავხდი სტუდენტი, ჟურნალისტობას ვაპირებ... უკვე ვგრძნობ, რომ სწავლა დიდ ნებისყოფას მოითხოვს. ისევე როგორც სპორტი, სწავლაც გამძლეობაზეა.

● **რას აკეთებთ თავისუფალ დროს?**

— ვუკრავ ელექტროორღანზე პოტსდამის ახალგაზრდულ კლუბ „ატლეტიკში". მიყვარს თევზაობა. ბევრს ვკითხულობ, მომწონს ისტორიული რომანები და, რა თქმა უნდა, თანამედროვე გერმანული ლიტერატურა.

● **მეგობრებისთვის თუ გრჩებათ დრო?**

— ვმეგობრობ ჩემი მწვრთნელის ქალიშვილთან, იგი ფრიად განათლებულია, ბევრი რამ იცის.

გერმანულიდან თარგმნა
კახაბერ კუდავამ.

ლიდერობს ოლიმპიური ჩემპიონი

ფიგურული ციგურაობის ოსტატთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ოტავაში, სპორტული კომპლექსის „სივიკ სენტრის" ყინულის სარბიელზე ტარდება, დამაჯერებლად ლიდერობს ოლიმპიური ჩემპიონი, გდრ-ის წარმომადგენელი კატარინა ვიტი (კარლ-მარქს-შტადტი). მან ყველა მეტოქე ჩამოიტოვა სავალდებულო პროგრამით შეჯიბრებაში. ამჯერად ყველა ფიგურა მართლაც კარგად გამომივიდაო. თქვა პროგრამის შესრულების შემდეგ 18 წლის სპორტსმენმა.

კატარინა ვიტი

გაგვახარეს საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმაც. სარაევოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი კირა ივანოვა (მოსკოვის ოლქი) „სკოლაში" მეორე იყო, მოსკოველი ანა კონდრაშოვა — მეოთხე (III ადგილი ხვდა გფრ-ის წარმომადგენელს, გამოცდილ ფიგურისტს მანუელა რუბენსს).

როგორც ცნობილია, აშშ-ის ნაკრებს ჩემპიონატამდე ორი კვირით ადრე გამოაკლდა შარშანდელ მსოფლიო პირველობაში გამარჯვებული როზალინ სამნერსი, რომელმაც განაცხადა, რომ ყინულის რევიუში აპირებს გადასვლას. სულ ბოლო მომენტში ტრავმის გამო სარბიელზე ვერ გამოვიდა ამერიკელთა ახალი იმედი ამ სახეობაში, 16 წლის ტიფანი ჩინი. ასე რომ ქალთა ერთეულებში აშშ-ის ღირსებას იცავს მხოლოდ ელაინა ზაიაკი, რომელიც ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა. ერთეულების შეჯიბრებაში ჯილდოებისთვის იბრძვის 16 ქვეყნის 23 ფიგურისტი ქალი და 17 სახელმწიფოს წარმომადგენელი 26 ვაჟი. როგორც მუდამ, წარმომადგენლობითი იქნება მოცეკვავეთა ტურნირი — შეჯიბრებაში 21 წყვილი მონაწილეობს.

ოტავის ჩემპიონატის სარბიელზე ძალას ცდის 12 სპორტული წყვილი.

შეჯიბრებაზე აკრედიტებულია 29 ქვეყნის 300 ჟურნალისტი.

განაცხადი 16 ქვეყნიდან

მშვიდობის ველორბოლის დაწყებამდე (მარშრუტით ბერლინი-პრაღა-ვარშავა) ორი თვით ადრე ორგანიზატორებმა უკვე მიიღეს 16 ქვეყნის — სსრ კავშირის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ალჟირის, გფრ-ის, მაროკოს, დიდი ბრიტანეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, საფრანგეთის, ნორვეგიის, უნგრეთის, ფინეთისა და იტალიის ფედერაციების განაცხადები.

მშვიდობის ველორბოლის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ასპარეზობაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა გაიზრდება.

ყველაზე პოპულარული

სპორტის რომელი სახეობაა ყველაზე პოპულარული ჩვენს პლანეტაზე? პასუხი ამ კითხვაზე, ცხადია, ბევრს აინტერესებს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რამდენ ქვეყანაშია დანერგილი ესა თუ ის სახეობა. ამ საკითხით დაინტერესებულმა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სპეციალური ანკეტები დაურიგა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს. გამოკითხვაში შეიტანეს მხოლოდ ქვემოთ დასახელებული სახეობები. პასუხები გაგზავნა 87 ქვეყანამ და აი, რა გაირკვა: თურმე ყველაზე პოპულარულია მძლეოსნობა და ფეხბურთი. ეს სახეობები დანერგილია ოთხმოცდაშვიდივე ქვეყანაში. შემდეგ მოდის კალათბურთი და ფრენბურთი (85-85 ქვეყანა), ჩოგბურთი (84), სპორტის საწყლოსნო სახეობები: ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა (83), ველოსპორტი და ძიუდო (79-79), კრივი (77), ძალოსნობა (70), ტანვარჯიში (69), ჭიდაობა (68), სროლა (66), ხელბურთი (65), აფროსნობა (63), ცხენოსნობა (61), ფარიკაობა (58), ბალახის ჰოკეი (50), მშვილდოსნობა (49), აკადემიური ნიჩბოსნობა (45), ბაიდარა და კანოე (35), თანამედროვე ხუთჭიდი (32).

უცხოური იუმორი

უებარი საშუალება

— ექიმო, ამ ბოლო დროს ძალიან ფხუკიანი გავხდი. დღე ისე არ გავა, ცოლს არ წავეჩხუბო. რა ვქნა?

— მე მგონი, ენერგიის დაშრეტის ბრალია. გირჩევთ, სინიორ ჩელინი, დღეში სულ მცირე ათი კილომეტრი გაიაროთ. დამირეკეთ ორი კვირის შემდეგ.

ნახევარი თვის მერე ექიმს ტელეფონის ყურმილში ჩელინის აღტაცებული ხმა ესმის:

— გმადლობთ ექიმო, საქმე ჩინებულად მიდის!

— ცოლთან აღარ ჩხუბობთ?

— ცხადია არა. მე ხომ სახლიდან უკვე ას ორმოცდაათ კილომეტრზე ვარ!

სადაც არა სჯობს...

— ფეხბურთის რომელი გუნდის გულშემატკივარი ხართ? — ჰკითხა დალაქმა კლიენტს.

— რომლისაც თქვენ ბრძანდებით.

— თქვენ ხომ არ იცით, მე რომლის გულშემატკივარი ვარ?

— კი მაგრამ, თქვენ ხომ ხელში სამართებელი გიჭირავთ...

სიყვარული და ფეხბურთი

— ეს საშინელებაა,—უსაყვედურა ცოლმა ქმარს, — შენ ზეპირად იცი ფეხბურთში პირველობის გათამაშების კალენდარი და ყველა ფეხბურთელის გვარი და სახელი. მაგრამ სანაძლეოს დავდებ, რომ ჩვენი ქორწინების თარიღი არ გახსოვს.

— როგორ გეკადრება, ჩემო ძვირფასო, ჩვენ მაშინ ვიქორწინეთ, „დინამომ" „მოტორს" რომ მოუგო.

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა.

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოფაშაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7/8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე — 07141